ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **97-97250504**
თარიღი: **19/02/2025**

ადრესატი: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: დაბა ლენტეხი, თამარ მეფის ქ 24

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ გია ონიანს

ბატონო გია,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 27 იანვარს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა ჭავჭავაძის ქუჩაზე მცხოვრებ დემური მუსელიანის განცხადება, განცხადების თანახმად დემური მუსელიანის ეზოში არის კანალიზაციის ორო ღია ჭა, რომლებზეც დაერთებულია ჭავჭავაძის მოსახლეობის კანალიზაციაც. ოჯახი ითხოვს დახმარებას.

განცხადებაში აღნიშნული ფაქტი ადგილზე მისვლით გადამოწმებული იქნა საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის მევლუდ ლიპარტელიანის, დ. ლენტეხის მაჟორიტარი დეპუტატის ირაკლი ქურასბედიანის მიერ. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ პრობლემა შეესაბამება რეალობას. ოჯახს აქვს საშინელი დისკომფორტი ანტისანიტარიის გამო, განსაკუთრებით ზაფხულში. სიტუაციიდან გამომდინარე აუცილებელია ჭების დახურვა.

კომისიამ გადაწყვიტა: ეთხოვოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერს, შესაძლებლობის ფარგლებში დაეხმაროს დემური მუსელიანის ოჯახს აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში.

(განცხადება თან ერთვის)

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი